ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ანგარიში



2023

წლიური ანგარიში

ბათუმის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით ჩატარდა.

აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებზე, **4** წლის ვადით, ამომრჩევლებმა აირჩიეს ბათუმის თვითმმართველი ორგანოს – საკრებულოს **35** წევრი. აქედან, 10 წევრი – ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით ბათუმის მთელ ტერიტორიაზე.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.



საკრებულოს აპარატის ორგანიცაზიული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

აპარტის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი.



V მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია და 2 ფრაქცია

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

5 მუდმივმოქმედი კომისია

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

2 ფრაქცია

- ✓ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო'';
- ✓ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.



მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- 10 სხდომა
- 20 ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ: 108 საკითხი, მიღებულ იქნა 83 განკარგულება და 25 დადგენილება.

კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად ბათუმში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.

საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია

კომისიის მიზანია: ქალაქ ბათუმის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; საფინანსო და ეკონომიკური მიმართულებით ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

კომისიის საქმიანობა:

- ✓ განიხილავს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ სფეროში საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.
- ✓ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.
- ✓ თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

- ➢ კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 წევრი.

- ➢ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს კომისიის მიერ გაიმართა 13 სხდომა.
- ➢ კომისიის სხდომებზე სულ განიხილეს დღის წესრიგით გაღვალისწინებული 56 საკითხი, მათ შორის, 5 საკითხი 5%-ის ფარგლებში ქალაქის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომისია

კომისიის მიზანია: ქალაქ ბათუმის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესება.

კომისიის საქმიანობა: განიხილავს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროში მომზადებულ და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ პროექტებს და ღებულობს სათანადო დასკვნებს; ამზადებს წინადადებებს მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულებით, განიხილავს ბიუჯეტით გათვალისწინებულ მიზნობრივ პროექტებს და მათ შესახებ ღებულობს შესაბამის დასკვნებს.
თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.

- ✓ თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

- ➢ კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 წევრი

- ➢ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომისიის მიერ გაიმართა 5 სხდომა.
- ➢ კომისიის ხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 6 საკითხი.

საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

V მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა 16 წევრით. ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- ✓ ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა;
- ✓ დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა;
- ✓ ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა;
- ✓ თანასწორობა კანონის წინაშე.

ფრაქცია შემქნილია საერთო პლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

- ➢ ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 14 სხდომა
- ➢ ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი ყველა მიმდინარე საკითხი.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

ბათუმის მთავარმა ფინანსურმა დოკუმენტმა 2023 წელს თავის რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები 284,950,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო შემდგომში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რაც ძირითადად მისაღები შემოსულობების პროგნოზების გთვალისწინებით განხორციელდა, 361 200 000 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბიუჯეტი 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც ცალსახად მოწმობს, იმას, რომ ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესების შესაბამისად, ქალაქისთვის აუცილებელი კიდევ უფრო მეტი, ახალი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

ბათუმის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 45,503.3 ათასი ლარი;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 119,982.3 ათასი ლარი;
- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 25,727.1 ათასი ლარი;
- განათლება - 34,329.2 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 18,594.9 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 25,462.2 ათასი ლარი;
- ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება - 1,125.7 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 9,975.3 ათასი ლარი.

ბათუმის საკრებულოს წევრები, ბათუმის მერთან, რეგიონის მთავრობასთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, მუშაობენ კოორდინირებულად, რათა მომავალი წელი კიდევ უფრო წარმატებული იყოს თითოეული ბათუმელისთვის და ჩვენ მიერ დაგეგმილი მასშტაბური რეფორმები მოსახლეობის კეთილდღეობაზე დადებითად აისახოს.

ტრანსპორტი

მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად. მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელი წარმოადგენს ყველაზე იაფ გადაადგილების საშუალებას, რის გამოც საზოგადოების ფართო მასა გახლავთ მისი მომხმარებელი. აქედან გამომდინარე, მუნიციალური სატრანსპორტო ქსელის გამართული ფუნქციონირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის. ქალაქ ბათუმის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

ბათუმის სატრანსპორტო პოლიტიკა მიმართულია მაქსიმალურად მოერგოს თანამედროვე ქალაქის სტანდარტებს, განიტვირთოს საცობებისგან, გაუმჯობესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა და მოქალაქეებმა ავტომობილების ნაცვლად, უპირატესობა საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიანიჭონ.
გასათვალისწინებელია, რომ სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში ბათუმს უკვე ჰყავს ყველაზე ახალი, მოწესრიგებული ავტობუსები რომლებიც ყველანაირად გამართულია.

ავტოპარკი

არსებული მონაცემებით, 2018 წელს ბათუმის ავტოპარკი 40 ერთეული სატრანსპორტო საშუალებით განახლდა, 2020 წელს - 8 ერთეული ელექტრო ავტობუსით, 2021-2023 წლებში კი - 110 ერთეულით.

- საანგარიშო პერიოდში ბათუმის ავტოტრანსპორტი სულ 18 181 447 მგზავრს მოემსახურა, მათ შორის, 7 239 046 სოციალური შეღავათებით მოსარგებლეებს: მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, პენსიონერებს, საბავშვო ბაღის თანამშრომლებს, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სოციალური ცენტრის ბენეფიციარებს, ვეტერანებსა და სოციალურად დაუცველებს.

მნიშვნელოვნად ვითარდება სატრანსპორტო სერვისები, კერძოდ:

შეძენილი და დამონტაჟებულია ელექტრო ტაბლოები;

- ✓ შეიქმნა მობილური აპლიკაცია;
- ✓ ინტეგრირებული საგადახდე სისტემა;
- ✓ ავტობუსის გაჩერების გახმოვანების სისტემა;
- ✓ 2022 წელს დაინერგა მძღოლთა პროფესიული უნარ ჩვევების გადამზადების ცენტრი , რომელიც მიმდინარე წელსაც აქტიურ რეჟიმში აგრძელებს მძღოლთა გადამზადებას;
- ✓ ველოსისტემის განვითარების მიმართულებით, შეიქმნა ონლაინ აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ველოსიპედის დაქირავება და თანხის ონლაინ რეჟიმში გადახდა;
- ✓ 2021-23 წლებში ქალაქში სხადასხვა ლოკაციაზე განთავსდა 34 ველოტერმინალი;
- ✓ საშუალოდ ყოველდღიურად ბათუმველოს სერვისით სარგებლობს 100 ადამიანი;
- ✓ შემუშავდა და საკრებულოს მიერ დამტკიცდა ველო გადაადგილების გენერალური გეგმა.

ბათუმის ავტოტრანსპორტის განვითარების სამომავლო გეგმაში შედის გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან (*KFW)* ურთიერთთანამშრომლობით, წყალბადზე მომუშავე ავტობუსების შესყიდვა, რის შედეგადაც საქართველო იქნება რეგიონში პირველი, რომელიც „მწვანე წყალბადის“ წარმოებას დაიწყებს. ამასთან, საპილოტე პროექტი შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას დააგროვოს გამოცდილება, აღზარდოს ახალი სპეციალისტები და ამ რბოლაში იყოს პირველი.

ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის განვითარების მიმართულებით იგეგმება სპეციალური პლატფორმის შექმნა, რაც გაუმჯობესებს სატრანსპორტო სისტემას, უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის დანიშნულების ადგილამდე სწრაფ და კომფორტულ გადაადგილებას, ჰაერის და ხმაურის დაბინძურების, სათბურის გაზების გამოყოფისა და ენერგიის მოხმარების შემცირებას, ხელს შეუწყობს ქალაქში ცხოვრების პირობებისა და ქალაქის დაგეგმარების მიმზიდველობისა და ხარისხის ამაღლებას მოქალაქეების, ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების სასარგებლოდ.

სატრანსპორტო რეფორმა მომავალშიც გაგრძელდება, რაც საგრძნობლად გაუმჯობესებს ქალაქში გადაადგილებას.

ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია საქალაქო ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანი დაგეგმვა, მართვა და რიგი ფუნქციების გატარება, კერძოდ: ა) მუნიციპალიტეტის საქალაქო მეურნეობის ინფრასტრუქტურის სტაბილური და შეუფერხებელი მუშაობისა და მომსახურების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური საკითხების კოორდინაცია; ბ) კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული დარგობრივი სტრატეგიებისა და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებაში, ასევე მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; გ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ტროტუარების, პარკების, სკვერების, შადრევნების, გარე განათების ობიექტების, სანიაღვრე არხების, წყალსაცავების, ხიდების და სხვა საქალაქო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, მშენებლობა-აღჭურვა და სხვა; დ) მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის სფეროს პრობლემატიკისა და პროცესების კვლევა, დარგის განვითარებისათვის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა; ე) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სექტორის განვითარება და რეაბილიტაციის პროექტების უზრუნველყოფა, დამტკიცებული მუნიციპალური პროგრამების რეალიზაცია; ასევე მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი და დეტალური პროექტების შედგენა; საპროექტო სამუშაოების მაღალი ხარისხით და დროულად განხორციელების შესრულება; პროექტის განხორციელებისას მოსალოდნელ და დამდგარ რისკებზე დროული რეაგირება.

ქალაქის ინფრასტრუქტურის განახლება, აღდგენა, ახალი დასასვენებელი და სპორტული სივრცეების მოწყობა დაგეგმილ პროექტებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

- 2023 წელს, ბათუმში განხორციელდა და ასევე დაიწყო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები.

- 2023 წელს საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ბიუჯეტმა 162 929 800 ლარი შეადგინა.

- საანგარიშო პერიოდში დაიწყო ევროპის მოედნის რეაბილიტაცია.
  პროექტი ითვალისწინებს შადრევნის რეაბილიტაციას, ახალი გარეგანათებისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობას, დეკორატიული ფილების, ბორდიურებისა და მოაჯირების მონტაჟს.
  რეაბილიტაციის ფარგლებში, ტერიტორიაზე დამატებით მოეწყობა გამწვანებული სივრცეები, სარწყავი სისტემა, განთავსდება საპარკო ინვენტარი და დაირგვება მწვანე ნარგავები.
  სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება წლის ბოლომდე იგეგმება, რისთვისაც მილიონ 320 ათას ლარამდე დაიხარჯება.
  აღსანიშნავია, რომ ევროპის მოედანზე გასულ წელს უკვე დასრულდა მედეას ქანდაკების რესტავრაცია, რისთვისაც 442 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.

- მიმდინარეობს ბათუმის მუნიციპალური დროებითი ღამის თავშესაფრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. სამუშაოებს ბათუმის მერიის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო ახორციელებს.
  აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის 2 მილიონ 500 ათასი ლარი გამოიყო. დროებით ღამის თავშესაფარში, კომფორტულ გარემოში ღამისთევას 70 ბენეფიციარი შეძლებს, რომლებსაც სხვადასხვა სახის სერვისები მიეწოდებათ. ბენეფიციარებს, საჭიროების შემთხვევაში, გაეწევათ პირველადი სამედიცინო დახმარება, შეძლებენ ორჯერადი კვების მიღებასა და სხვა საჭირო სერვისებით სარგებლობას.
  პროექტი ითვალისწინებს ოთხსართულიანი შენობის შიდა და გარე სივრცეების კეთილმოწყობას.
  სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.
  პროექტის ღირებულება 2 მილიონ 500 ათას ლარს შეადგენს.

- დაიწყო მაქაცარიას ქუჩის კეთილმოწყობა.
  პროექტის ფარგლებში დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა სანიაღვრე და გარეგანათების სისტემები, ტროტუარი და ბორდიურები.
  სამუშაოები მომდევნო წლის მაისის ბოლომდე დასრულდება, რისთვისაც 587 ათას 502 ლარია გათვალისწინებული.

- ოდისეი დიმიტრიადის ქ. #15-ში სპორტული მოედნისა და საბავშვო ატრაქციონების რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის ფარგლებში, განახლდება არსებული სპორტული მოედანი და ტრიბუნა, მოედნის მიმდებარედ მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, დეკორატიული ფილები და ბორდიურები. ასევე იგეგმება გარეგანათების სისტემის აღდგენა და საპარკო ინვენტარის განთავსება. სამუშაოების ღირებულება 428 ათას ლარს აღემატება.

- ხიდის მოწყობის სამუშაოები დასრულდა ნიჟარაძის 4-სა და 8 ნომრებში. ორივე ხიდის მოწყობისთვის 675 767,94 ლარი დაიხარჯა. ნიჟარაძის 4-ში საფეხმავლო ხიდის ნაცვლად გაკეთდა საავტომობილო ხიდი, მოეწყო სარეგულაციო კედლები, მისასვლელებსა და ხიდზე დაეგო ასფალტობეტონის საფარი. 2023 წელს სულ 23 ხიდის მოწყობა იყო გათვალისწინებული, საიდანაც სამუშაოები დასრულდა 17 მისამართზე, ხოლო სამუშაოები მიმდინარეობს 6-ზე. 23 ხიდის მოწყობისთვის სულ 3 557 886,96 ლარი იქნა გათვალისწინებული.

- არსებული საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟი და ახლის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო ვაჟა-ფშაველას 83-ში, სადაც აშენდება ორსართულიანი კეთილმოწყობილი და ადაპტირებული შენობა, რომელიც გათვლილია 100 აღსაზრდელზე, სულ 4 ჯგუფი. ეზოში განთავსდება საბავშვო ატრაქციონები და საპარკე სკამები, დაიგება მწვანე კორდის საფარი, ეზოს პერიმეტრზე მოეწყობა განათების სისტემა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 2 113 405,15 ლარი დაიხარჯება. ამ ეტაპზე შენობის სადემონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნული ბაღზე სამუშაოები მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყო და 2024 წლის აგვისტოში უნდა დასრულდეს.

- 4555085,17 ლარი არის გამოყოფილი აეროპორტის გზატკეცილი 82-ში საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის, სადაც აშენდება ორსართულიანი კეთილმოწყობილი და ადაპტირებული, 200 აღსაზრდელზე გათვლილი შენობა. ეზოში განთავსდება საბავშვო ატრაქციონი და საპარკე სკამები, დაიგება მწვანე კორდის საფარი, ეზოს პერიმეტრზე მოეწყობა განათების სისტემა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საძირკვლის ქვაბულების მოწყობის სამუშაოები.
  აღნიშნულ ლოკაციაზე სამუშაოები მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყო და 2024 წლის აგვისტოში უნდა დასრულდეს.

- ურეხის ყოფილი ინტერნატის მზურველობამოკლებულ ხანდაზმულთა ცენტრად რეკონსტრუქცია-ადაპტაციის სამუშაოები დაიწყო. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება შენობის შიდა და გარე სივრცის მოპირკეთება-მოწყობის სამუშაოები, ასევე კეთილმოეწყობა ეზო. პროექტი ითვალისწინებს მესამე სართულზე 12 ბინის მოწყობას, კერძოდ 2 სამოთახიანის, 6 ოროთახიანისა და 4 ერთოთახიანის.
  მეორე სართულზე განთავსებული იქნება თავშესაფარი ორი საძინებელი ფართით, ხოლო პირველ სართულზე ადმინისტრაციის და სასადილო ოთახები, ასევე სამედიცინო ბლოკი. სარდაფში მოეწყოება სამზარეულო, სამრეცხაო, საწყობი და სახელოსნოები. აღნიშნული სამუშაოებისთვის 1 998 287,00 ლარი არის გამოყოფილი.
  ამ ეტაპზე მიმდინარეობს შიდამოსაპირკეთებელი სამუშაოები.
  სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 30 აგვისტო.
  აღნიშნული ღონისძიებისთვის უკვე დახარჯულია 506 159, 57 ლარი, რომლის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ შენობას.

- ახალი საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოები დაიწყო ალ. ნანეიშვილის 12-ის მიმდებარედ, სადაც აშენდება ორსართულიანი, კეთილმოწყობილი და ადაპტირებული შენობა, რომელიც გათვლილი არის 200 აღსაზრდელზე. ეზოში განთავსდება საბავშვო ატრაქციონი და საპარკე სკამები, დაიგება მწვანე კორდის საფარი, ეზოს პერიმეტრზე მოეწყობა განათების სისტემა და ღია სპორტული მოედანი. ღონისძიებისთვის 4 410 201,56 ლარი არის გათვალისწინებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საძირკვლის ქვაბულების მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული ბაღზე სამუშაოები მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყო და 2024 წლის აგვისტოში დასრულდება.

- 9 324 299,95 ლარი არის გამოყოფილი შავშეთის ქუჩის რეაბილიტაციისთვის, ბაგრატიონის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე. პროექტის ფარგლებში აღნიშნულ ქუჩაზე უნდა მოეწყოს სანიაღვრე სისტემა და ტროტუარი-ბორდიური, დაეგოს მწვანე კორდი, რეაბილიტაცია ჩაუტარდეს გარე განათების სისტემას.
  განხორციელდეს დემონტაჟი არსებული ბეტონის ფილების და დაიგოს ორი ფენა ასფალტი. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 28 მაისი.
  ამ ეტაპზე შავშეთის ქუჩის ბაგრატიონიდან ანდრონიკაშვილამდე მონაკვეთში ხორციელდება ბეტონის ფილების სადემონტაჟო სამუშაოები.
  აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ასევე დაგეგმილია ალ. სულაბერიძისა და გ.ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ.პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე რეაბილიტაცია და გიორგი ლეონიძის ქუჩის კეთილმოწყობა.
  გიორგი ლეონიძის ქუჩაზე სამუშაოები უკვე დაწყებულია, კერძოდ გენერალ აბაშიძის ქუჩიდან ტაბიძის ქუჩამდე მონაკვეთში, მიმდინარეობს გრუნტის გამოცვლის სამუშაოები.
  ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 20 825 613,98 ლარს.

- **2023 წელს უკვე აშენდა სამი საბავშვო ბაღი:**

- დაბა ჩაქვი, ჭავჭავაძის ქ. N7-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - უკვე აშენებულია ორსართულიანი შენობა. შენობა არის ადაპტირებული და კეთილმოწყობილი. გათვლილია 270 აღსაზრდელზე. ასევე მოეწყო ეზო, სადაც განთავსდა საბავშვო ატრაქციები და ფანჩატურები, მოეწყო სპორტული მოედანი. ღირებულება - 2 583 445,36 ლარი;

- ბაგრატიონის ქ. N127-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა და საბავშვო ბაღის ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობა - აშენებულია ორსართულიანი შენობა, კეთილმოწყობილია ეზო, სადაც განთავსებულია ფანჩატურები და საბავშვო ატრაქციები, ბაღი გათვლილია 270 აღსაზრდელზე . აღნიშნული ბაღი არის ადაპტირებული შშმ-პირთათვის. ღირებულება - 1 538 424,19 ლარი;

- ქათამაძის 38-ში მდებარე საბავშვო ბაღის მშენებლობა - აშენებულია ორსართულიანი შენობა, კეთილმოწყობილია ეზო, სადაც განთავსებულია ფანჩატურები და საბავშვო ატრაქციები, ბაღი გათვლილია 270 აღსაზრდელზე. აღნიშნული ბაღი არის ადაპტირებული შშმ-პირთათვის. ღირებულება - 1 704 652,86 ლარი.

- 30,999,929.90 ლარი არის გამოყოფილი მამია ვარშანიძის და ხახულის ქუჩების (ალ. სულაბერიძის და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრ. ხალვაშის გამზირამდე) კეთილმოწყობისთვის. პროექტის ფარგლებში აღნიშნულ მონაკვეთზე უნდა მოეწყოს 15 ხიდი, სანიაღვრე არხი, ტროტუარი, ბორდიური, საყრდენი კედლები, დამონტაჟდეს საგზაო ნიშნები. ამ ეტეპზე უკვე დასრულდა 6 ხიდის მონტაჟი და მიმდინარეობს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის (უკვე მოწყობილია 700 გრძ.მ ნაპირსამაგრი კედელი) და მე-7 ხიდის სამონტაჟო სამუშაოები. აღნიშნულ ხიდებზე მოეწყობა ქვეითთა გადაადგილებისთვის ბილიკები და 15-ვე ხიდი აღიჭურვება განათებითა და მოაჯირებით. სამუშაოები მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და 2026 წლის მარტში უნდა დასრულდეს.

- ავარიული სახლების პროგრამით, გამაგრება-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 513 ბინა იქნება საცხოვრებლად უსაფრთხო. ხოლო დემონტაჟის და ახალი სახლების მშენებლობით, 1000-ამდე ახალი საცხოვრებელი ბინა მოეწყობა, რომელიც გადაეცემა ავარიულ სახლებში მცხოვრებ ოჯახებს. აღნიშნული პროგრამისთვის 100 მლნ ლარი არის გათვალისწინებული;

- **2023 წელს უკვე მოეწყო 7 სკვერი, რაზეც მილიონ ნახევრამდე ლარი დაიხარჯა. წელს სკვერი ასევე მოეწყობა თამარ მეფის გზატკეცილის 20-ის მიმდებარედ, რისთვისაც ნახევარ მილიონამდე ლარი დაიხარჯება. მიმდინარე წელს ჩაქვის რეკრეაციული სივრცის მოწყობის სამუშაოებიც არის დაგეგმილი, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 33 535 540,11 ლარს , აღნიშნულ ღონისძიებაზე უკვე გამოცხადებულია ტენდერი.**

- მოსახლეობის თხოვნით, სკვერი ასევე მოეწყობა პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე არსებულ გზაგამყოფ სივრცეში, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, საპარკე ინვენტარი და სპორტული ატრაქციები, ასევე მოეწყობა ძაღლების სივრცე 145 კვ.მ-ზე, დაიდგმება ფანჩატურები, მოეწყობა გარე განათების სისტემა და მოაჯირები. აღნიშნული ღონისძიებისთვის 1 940 285.15 ლარი არის გათვალისწინებული. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 30 მაისი. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს სამების 1-ლი ჩიხის N3-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაციის და ოდისეი დიმიტრიადის ქ.N15-ში მიწის ნაკვეთზე არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სამივე ღონისძიების ჯამური ღირებულება შეადგენს 2 865 303.65 ლარს.

მწვანე ბათუმი

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით ქალაქში პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის არაერთი ღონისძიება ხორციელდება.
მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს სეზონური ერთწლოვანი ყვავილების დარგვა.
ჩითილების გამოყვანა ხდება ახალსოფლის სანერგე-სასათბურე მეურნეობაში.
წლის ბოლომდე სკვერებში, პარკებში, წრიულებსა და გზაგამყოფებზე 700 000 ცალი ჩითილის დარგვა არის დაგეგმილი.
გარდა ამისა, რეკრეაციულ სივრცეებში განახლდა საფეხმავლო ბილიკები, განთავსდა თანამედროვე სტილის საპარკე ინვენტარი, მოეწყო გარე განათების სისტემა. დამონტაჟდა სარწყავი სისტემა და დაირგო სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავები.

სანდასუფთავება

ქალაქის მოწესრიგება და სისუფთავე ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.
მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის ფარგლებში, სისტემატიურად მიმდინარეობს რეფორმები და განახლება. განხორციელდა ბათუმის სანდასუფთავების" ავტოპარკის განახლება. სპეცავტომობილები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მუშაობის ხარისხს. ბათუმის მეეზოვეები და დასუფთავების სამსახური დილის 4 საათიდან ზრუნავენ ჩვენი ქალაქის სისუფთავეზე.

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- დაგვა - დასუფთავება ;
- სანაპირო ზოლის დასუფთავება;
- ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება ;
- მწვანე ზოლის დასუფთავება;
- ქუჩების მორწყვა-მორეცხვა ;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ანახვეტის გამოტანა ;
- კონტეინერების გარეცხვა;
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის აღკვეთა;
- ქუჩებისა და სავალი ნაწილის თოვლის საფარისაგან გაწმენდა;
- ბ-ჯგუფის ნარჩენების გატანა და ინსინიატორით განადგურება ;
- დერატიზაცია - დეზინსექცია, დეზინფექცია;
- დასუფთავების წესების დარღვევების გამოვლენა.

ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მომზადებულია ქ. ბათუმის საკრებულოს დადგენილების პროექტის ცვლილებები კომერციულ სექტორში კატეგორიების დამატებასთან დაკავშირებით, ასევე, მიმდინარეობს მუშაობა დასუფთავების მოსაკრებლისა და ელექტროენერგიის ერთიანი ადმინისტრირების თაობაზე.

,,ნუ დაყრი ნარჩენებს, შევინარჩუნოთ ბათუმი, როგორც სუფთა და მწვანე ქალაქი“.

ჯანმრთელობის დაცვა

მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქ. ბათუმის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების პროგრამები) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინასება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წამოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მკურნალობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით ასევე წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. აღნიშნულის მიღწევა სრულიად შესაძლებელია ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტში გათვალისწინებული მიზნობრივი ქვეპროგრამების მეშვეობით.

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ქალაქის მოსახლეობისათვის ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები. ყოველწლიურად იზრდება აღნიშნული პროგრამების მოსარგებლეთა რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი;
- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;
- ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;
- შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია;
- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია ;
- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;
- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება.

სოციალური უზრუნველყოფა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით, მინიმალური სტანდარტებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა. ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, რაც ძირითადად უზრუნველყოფილია სოციალური დაცვის მიზნობრივი ქვეპროგრამებით. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიებისათვის (მკვეთრად გამოხატულ შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები, ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები და სხვები) სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებას და მატერიალური დახმარებების გაწევას, კერძოდ:

ხორციელდება კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (წყლისა და კანალიზაციის, დასუფთავებისათვის მოსაკრებლის, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა, გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება, თხევადი აირის ტალონით დახმარება), მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება, მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მზრუნველობასმოკლებულ და უპოვარ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა (თავშესაფრით, სამედიცინო მომსახურებითა და კვებით უზრუნველყოფა), მოვლის საჭიროების მქონე პირთა ბინაზე მომსახურეობა (სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება), უფასო კვებით უზრუნველყოფა (ყოველდღიურად დღეში ერთჯერ ცხელი საკვებით დაკმაყოფილება), ბენეფიციარებთა, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო წყარო და საცხოვრებელი, დროებითი ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციართა მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტებით დაკმაყოფილება (საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სარემონტო მასალების შეძენა).

საანგარიშო პერიოდში სოციალურ სფეროში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;
- მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;
- მუნიციპალური უფასო სასადილო;
- დროებითი ღამის თავშესაფარი;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა.

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა

პროგრამა ითვალისწინებს ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარულ მონიტორიგს, დეზინსექცია-დერატიზაციის და უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორებს და უზრუნველყოფს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორიგი;
- დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებები;
- უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები.



საბინაო პოლიტიკა

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ,,ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროგრამის“ ფარგლებში სცხოვრებელი ბინებით 100 ოჯახი დაკმაყოფილდა. მანამდე, ამავე პროგრამით 80-მა ბათუმელმა ოჯახმა ისარგებლა.

- საბინაო პოლიტიკის მიმართულებით ძალზედ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის სახით. პრობლემა ძალზედ აქტუალურია ვინაიდან საცხოვრებელი ფონდის დიდი ნაწილი ამორტიზებულია და საჭიროებს ჩანაცვლებას. ამ მიმართულებით ქალაქის 6 ლოკაციაზე დაწყებულია ავარიული სახლის დემონტაჟი და მშენებლობა. პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება.

ამჟამად მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მშენებლობა დაწყებულია შემდეგ მისამართებზე: გრიშაშვილის ქ. N 9; კვინიტაძის ქ. N1; კვინიტაძის ქ. N3; კვინიტაძის ქ. N11; შ.ხიმშიაშვილის ქ. N94-96; შავშეთის ქ. N29.

- მნიშვნელოვანი მუნიციპალური პროგრამას გვაქვს „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ მიმართულებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გასულ წელს მუნიციპალიტეტმა 15 მრავალშვილიან ოჯახს, რომელსაც 6 და მეტი შვილი ჰყავდა, საცხოვრებელი ბინები საკუთრებაში გადასცა. პროგრამა ყოველწლიურია და ის ოჯახები, რომლებიც პროგრამის დადგენილ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ, 100-დან 130 კვმ-მდე საცხოვრებელ ფართს მიიღებენ.

- დაწყებულია 26 მაისის ქუჩაზე, N13-ში, ჩამონგრეული სახლის ადგილზე ახალი კორპუსის მშემნებლობა. ახალ აშენებულ კომპლექსში ბინა 63 ოჯახს გადაეცემა. საერთო სამშენებლო ფართი 6700 კვ.მ. მოიცავს.

განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

➢ განათლება

„საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

- ქ. ბათუმში, ქათამაძის ქ. N32-ის მიმდებარედ საბავაშვო ბაღის მშენებლობა;
- ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, მეზღვაურის ქუჩაზე საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- ელ. ენერგიის ქსელზე მიერთება;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

- ღონისძიების „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში, განაცხადების მიღება მიმდინარეობდა მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდში. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 209 (ორას ცხრა) განაცხადი, რომელთაგან ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა 177 (ას სამოცდაჩვიდმეტი) განაცხადი.
  ღონისძიების დებულების თანახმად სტიპენდია გაიცა საუკეთესო შედეგების მქონე 40 სტიპენდიატზე პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, რომელთაც ჰქონდათ საშუალო შეწონილი ქულა 93.66 ქულა და მეტი, ხოლო საუკეთესო შედეგების მქონე 10 სტიპენდიატზე არაპრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით 98.75 ქულა და მეტი.

- ღონისძიების „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 1 მარტიდან 24 მარტის ჩათვლით. სულ შემოვიდა 8 განაცხდი, კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლინდა რვავე კონკურსანტი.



კ უ ლ ტ უ რ ა

- **საანგარიშო პერიოდში განხორციელდა „ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები“, მათ შორის**

- ✓ 3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ✓ 23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის მიძღვნილი ღონისძიებები ;
- ✓ 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ✓ ბათუმობის ღონისძიებები ;
- ✓ 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ✓ წილხვდომილობის დღესასწაულიდმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ✓ 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ;
- ✓ 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ✓ 8-11 აგვისტო - 2008წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ✓ დაგეგმილია ქალაქის საახალწლო - სადღესასწაულო ღონისძიებები .

- **2023 წელს მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილი იქნა 11 საერთაშორისო ფესტივალი, მათ შორის:**

- ✓ „შავი ზღვის ჯაზ - ფესტივალი“, ორგანიზატორი შპს ისთერნ პრომოუშენს. ფესტივალი ჩატარების თარიღი - 28-30 ივლისი;
- ✓ საესტრადო მუსიკის ფესტივალი - ბიძინა კვერნაძე 95. ორგანიზატორი - ა(ა)იპ ქართული მუსიკის ცენტრი. ჩატარების თარიღი 29 ივლისი;
- ✓ საერთაშორისო ფესტივალი ,,სამბა - პროჯექტ ჯორჯია'', ორგანიზატორი ა(ა)იპ სამბა პროჯექტ ჯორჯია. ჩატარების თარიღი 19 აგვისტო;
- ✓ ბათუმის საერთასორისო ფესტივალი ,,ზოული'', ორგანიზატორი შპს გურულო პროჯექტი. ჩატარების თარიღი - 17 – 21 აგვისტო;
- ✓ მე 15 საერთაშორისო ფესტივალი ,,ღამის სერენადები'' , ორგანიზატორი ა(ა)იპ არტ ალიანსი. ჩატარების თარიღი - 24-25 აგვისტო;
- ✓ „შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი ,,ბათუმის რაფსოდია“, ორგანიზატორი - ა(ა)იპ ,,ივერ - კლასიკი''. ჩატარების თარიღი - 20 სექტემბერი - 02 ოქტომბერი;
- ✓ „შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალი“, ორგანიზატორი ა(ა)იპ ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდი ,,ლირა''. ჩატარების თარიღი 30 სექტემბერი - 08 ოქტომბერი;
- ✓ ფესტივალი ,,თატრი შენს ეზოში'' , ორგანიზატორი - შპს FRESHTOUR. ჩატარების თარიღი 15 სექტემბერი - 20 ოქტომბერი.
- ✓ ,,გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალი'', ორგანიზატორი ა(ა)იპ არტ ალტერნატივა. ჩატარების თარიღი 20 – 22 ოქტომბერი;
- ✓ იგეგმება ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ,,თოფუზი'', ორგანიზატორი ა(ა)იპ პროექცია. ჩატარების თარიღი 13 – 18 ნოემბერი;
- ✓ იგეგმება საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი ,,პირველი ავტოგრაფი'', ორგანიზატორი ა(ა)იპ არტ პორტალი. ჩატარების თარიღი 19 – 26 ნოემბერი;
- ✓ მიმდინარე პერიოდისათვის (07.11.2023) განხორციელებულია 9 პროექტი.

➢ კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

✓ **ღონისძიება „კონკურსში გამარჯვებულ პროექტთა დაფინანსება“.** დაფინანსდება კონკურსის წესით შერჩეული არანაკლებ 15 ინიციატივა, თითოეული არაუმეტეს 10 000 ლარით.

➢ საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 17 პროექტი, კერძოდ:

✓ **„აჭარის სამუსიკო სკოლების ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება“** ;

✓ პროექტი **„პროლოგი**“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა დამსახურებულ ბათუმელზე, ლეო ქაჯაიაზე ვიდეო ისტორიის გადაღება.

✓ პროექტი მხატვრულ დოკუმენტური ფილმი **„სიყვარულის კოქტეილი**“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფილმის, ხმის დამუშავება ფერის კორექცია და საბოლოო მონტაჟი.

✓ პროექტი **„მუსიკალური სპექტაკლი“.** პროექტის ფარგლებში შეიქმნა ქართული საბავშვო მუსიკალური სპქტაკლი, სადაც გაერთიანდა 80 - მდე სხვადასხვა ასაკის ბავშვი და მსახიობები. დაიდგა სხვადასხვა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები.

✓ პროექტი „**კინო“.** პროექტის ფარგლებში განხორციელდა კინო ჩვენებები. სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა იხილონ ახალი ქართული კინოპროდუქცია. დაინტერესებულ სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდა გამოცდილმა სპეციალისტმა, კინოჩვნების, შემდეგ მოეწყო ფილმების განხილვები.

✓ პროექტი **„წუთისოფელი“.** განხორციელდა შემეცნებითი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. პროექტის ფარგლებში მთხრობელმა მაყურებელს უამბო საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები. „ქართული ხმების“ ვირტუოზული შესრულებით მოისმინეს ქართულ ხალხური სიმღერა, საგალობლები.

✓ პროექტი **„კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო“.**

✓ პროექტი **„აია“/„AIA**“. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმის საზაფხულო თეატრის მიმდებრე ტერიტორიაზე გაიმართა შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში მოღვაწე მუსიკოს შემსრულებლებმა. ასევე მოწვეულნი იყვნენ მხატვრები, რომლებმაც შემოქმედებითი ღონისძიების მსვლელობისას შექმნეს ნახატები.

✓ პროექტი მოცარტის ოპერა **„ჯადოსნური ფლეიტა“.** პროექტის ფარგლებში ბათუმში პირველად განხორციელდება ვოფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“. მუშაობის პროცესში საშუალება მიეცემა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ ამ მნიშვნელოვან პროექტში, რომელიც მათი არამხოლოდ მუსიკალური, არამედ არტისტული მონაცემების გამოვლენასაც შეუწყობს ხელს. ბათუმელ სტუდენტებთან ერთად პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ვილნიუსის მუსიკის აკადემიის სტუდენტები.

- ✓ პროექტი **„ბათუმი არტ შოუ 2023“** განხორციელდა საფესტივალო კვირეული.

- ✓ პროექტი **„გერმანიაში მოღვაწე ქართველის ხელოვანის ბელა ბერკემერ-მახარაძის შემოქმედებითი საღამო“**

- ✓ პროექტი **„კედელი“.** პროექტის ფარგლებში დაიდგმება ვალენტინ კრასნოგორვის პიესა „კედელი“. განხორციელების ვადა: 1 სექტემბერი - 5 დეკემბერი.

- ✓ პროექტი **„ქართული თეატრის ამბავი ანუ ...“**
  სცენაზე გაცოცხლდა საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ქართული თეატრის იდუმალი ისტორიები 1783 წლიდან დამთავრებული მე-20 საუკუნის ჩათვლით. სცენაზე იდგნენ თეატრმცოდნეები, სუხიშვილები, ეკრანზე ნაჩვენები იქნა მსახიობები, რომლებიც დღეს ქმნიან ქართული თეატრის რეალობას.

- ✓ პროექტი **„დავით არჩვაძე“.** ჩატარდა დავით არჩვაძის სოლო კონცერტი, სადაც გაჟღერდა მომღერლის რეპერტუარში არსებული საქვეყნოდ პოპულარული სიმღერები. ასევე, შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა კლასიკად ქცეული ნაწარმოებები.

- ✓ პროექტი **„ანსამბლების გაერთიანების კონცერტი - ქალაქური მრავალხმიანობა“**
  ქ. ბათუმში ჩატრდა 5 ანსამბლის გაერთიანებული კონცერტი, კერძოდ: თეატრალური კვარტეტი, ალილო, შვიდკაცა, ქათული ხმები, ფორტე. შესრულდა სხვადასხვა მუსიკალური კომპოზიციები.

- ✓ ქ. ბათუმის მუსიკალურ ცენტრში დავით მაზანაშვილის ბენდისა და ორკესტრის თანხმლებით ჩატარდა **არჩილ გოგიტიძის** სოლო კონცერტი.

- ✓ ახალგაზრდა კომპოზიტორთა ქართულენოვანი სიმღერების ფესტივალის საზაფხულო კონცერტი **„ჰიტერატურა“.** მიმდინარე წლის 23 სექტემბერს ბათუმის ბულვარში ჩატარდა კონცერტი „ახალგაზრდა კომპოზიტორთა ქართულენოვანი სიმღერების ყოველწლიური ფესტივალის“ ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობას მიიღო სხვადასხვა მიმდინარეობის 15-მდე მუსიკოსმა. პროექტი განხორციელდა ღია ცის ქვეშ. დასწრება იყო თავისუფალი.

სპორტი

- **„მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის“ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის:**

  - ✓ **„ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი“;**
  - ✓ **„სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია“;**
  - ✓ **„სასკოლო ოლიმპიადა“;**
  - ✓ „ბათუმი სპორტის ქალაქი“;
  - ✓ „ქვიშის სახეობების ფესტივალი“;
  - ✓ **„სპორტული ბანაკი“;**
  - ✓ **„** მხიარული თამაშები“;
  - ✓ **„**ველო - მარათონი“;
  - ✓ **„**საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება“;
  - ✓ „ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება“;
  - ✓ „ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება“;
  - ✓ **„ქუჩის კალათბურთი“;**
  - ✓ „ბათუმის თასი ფეხბურთში“;
  - ✓ „ქვიშის ჭიდაობა“;
  - ✓ „მინდვრის ჰოკეის სექციის განვითარება“;
  - ✓ „საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „ბათუმის თასი 2023“;
  - ✓ „მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა“.

გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საანგარიშო პერიოდში ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 6 საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების, ერთ-ერთი ქუჩისთვის სახელის გადარქმევის, სკვერში ბიუსტის განთავსების, გზის ერთი მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და სახელის მინიჭების გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ: საკრებულომ მიიღო განკარგულებები შემდეგ საკითხებზე:

- „ქ. ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას ქ.N25ში მდებარე შენობის ფასადზე გიორგი (გოგი) ქათამიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“;
- ,,ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქ. N74–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ცირა აბზიანიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“;
- „ქ. ბათუმში, ვაჟა–ფშაველას ქ. N7ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გურამ ჩიგო-გიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“;
- „ქ. ბათუმში, ვაჟაფშაველას და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე იზოლდა სამსონიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“;
- ,,ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. N5ა–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თეიმურაზ (ტუხა) ტუღუშის მემორიალური დაფის დაფის განთავსების თაობაზე“;
- ,,ქ. ბათუმში, ს.ზუბალაშვილის ქ. N18ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ოთარ მიქელაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“;
- „ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩისა და ზედა ღელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე“;
- „ქალაქ ბათუმში სელიმ ხიმშიაშვილის და გრიგოლ ფერაძის ქუჩებს შორის არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და შინდისის გმირების სახელის მინიჭების თაობაზე“;
- „ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის მოპირდაპირედ, მზის საათის სკვერში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის განთავსების თაობაზე“.

საქმიანობა ქალაქ გონიო კვარიათის სამაჟორიტარო უბანში.

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება სისტემატურად, ყოველდღე. საერთო ჯამში ზეპირი კონსულტაცია გაეწია 367-მდე მოქალაქეს. კონკრეტულ მოქალაქეებს წერილობითი შუამდგომლობები გაეწიათ სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების მიღების მიზნით.

სამაჟორიტარო უბნის მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციების გაანალიზებით უბანში გამოვლენილ და იდენტიფიცირებულ პრობლემებზე მუნიციპალიტეტის მხრიდან იყო შესაბამისი რეაგირება.

საანგარიშო პერიოდში სამაჟორიტარო უბანში განხორციელებული სამუშაოები

- გრ. ლორთქიფანიძისა და აერ. გზატკეცილის კვეთაში მოხდა ხიდის სრული რეაბილიტაცია. კერძოდ: რკინის ხიდი შეიცვალა ქვის ხიდით;
- ანწუხელიძის 80-ის მიმდებარედ მოეწყო სკვერი და სტადიონი;
- კ.აფხაზის ქუჩის 4-ში მოეწყო საკალათბურთო მოედანი;
- ადლიის 98-ის სკვერისა და მოედნის რეაბილიტაცია;
- დ.კაკაბაძისა და ანწუხელიძის კვეთაში მოეწყო სკვერი;
- ი.მესხის ქუჩის 14-ის მიმდებარედ გზის სრული რეაბილიტაცია;
- ფრ.ხალვაშის ქუჩის გზის სრული რეაბილიტაცია;
- ფრ.ხალვაშის მე-12 ჩიხში მოეწყო სანიაღვრე არხი;
- კახაბრის მე-3 ჩიხში მოეწყო სანიაღვრე არხი;
- მოეწყო მდინარე „მეჯინის“ გაწმენდა სპეცტექნიკით;
- მდინარე „მეჯინის“ ჯებირის მოწყობა ადლიის 176-ში, ანგისის 1 შესახვევიდან ლორთქიფანიძის კვეთამდე, ბეთლემის, მ.შარშიძის, მ.მაჭავარიანის ქუჩებზე;
- ჯანდაცვის, სოციალური და ინფრასტრუქტურის მხრივ განხორციელდა 1000-ზე მეტ ბენეფიციარზე დახმარება;
- მოხდა ათეულობით ფანჩატურისა და სკამების შეკეთება სხვადასხვა ქუჩებზე;
- ადლის დასახლებაში სასმელი წყლის შეყვანა;
- ფრ.ხალვაშის მე- 9 ჩიხი სანიავრე არხის მოწყობა .

➢ აღმაშენებლის უბანი







➢ წარმომადგენლობითი საქმიანობა

➢ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე და თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი თავდგირიძე, ბათუმის ვიცე-მერთან ლევან დავითაძესთან ერთად, პოლონეთის ქალაქებში - ვროცლავში, ზიელონა გორასა და ნისაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ქალაქ ნისას დაარსების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებასა და მოგვიანებით ქალაქ ვროცლავის ქალაქის საბჭოში გამართულ სხდომას დაესწრნენ. ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების კუთხით, ასევე, არაერთი შეხვედრა გაიმართა პოლონური ქალაქების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უმაღლეს წარმომადგენლებთან.
ბათუმის საკრებულოს წევრების ვიზიტი პოლონეთის ქალაქებში პოლონური მხარის მიწვევით განხორციელდა.

➢ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე თბილისში გამართულ ეროვნულ კონფერენციაში - "გენდერული თანასწორობის დღის წესრიგი ადგილობრივ დონეზე: ძირითადი გამოწვევები და სამოქმედო ნაბიჯები" - მონაწილეობდა.

ფართომასშტაბიან ღონისძიებას მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.
აღნიშნული პროექტის მიზანია, დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს ინსტიტუციური მექანიზმების განვითარებაში, რათა ადგილზე გააუმჯობესონ გენდერული თანასწორობის გარემო.

პროექტის განხორციელებაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციას, რომლის ჩართულობით 49 მუნიციპალიტეტს, უკვე შემუშავებული აქვს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა.

ეროვნული კონფერენცია, რომელიც პროექტის ,,ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში" ფარგლებში მოეწყო, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა.

- ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე ევროკავშირის პროექტის ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის პროგრამის ფარგლებში", რეგიონულ ფორუმში სახელწოდებით- „მომავლისთვის შესაფერისი ქალაქები“ მონაწილეობდა.

ფორუმი, რომელსაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან (მერები, მერების მოადგილები) 200-მდე სტუმარი ესწრებოდა, მიზნად ისახავდა, ქალაქების წინაშე არსებული გამოწვევების ეფექტურად გადაჭრას, კრიზისის მართვის გზების შემოთავაზებას, ინოვაციურ მიდგომებს და სტრატეგიულ თანამშრომლობას, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას ურბანული სივრცეები უფრო მწვანე, ჭკვიან და მდგრად გარემოდ. ფორუმს ესწრებოდა არაერთი ევროპული ქალაქის მერიც. ფორუმის ფარგლებში მიმდინარეობდა პარალელური სესიები UNDP-ის მიერ ევროპიდან მოწვეული მენტორების მიერ, ქალაქების წინაშე არსებულ სხვადასხვა გამოწვევის შესახებ და პანელური დისკუსიები აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის თემაზე, თუ როგორ უნდა ვმართოთ ხვალინდელი ქალაქები უკეთესი განვითარებისთვის.

მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის მერებისა და მათი გუნდების მხარდაჭერას ითვალისწინებს. ქსელს 400-ზე მეტი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ჰყავს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) რეგიონში: სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.



➢ ფესტივალები, სახალხო დღესასწაულები

მოცემული ანგარიში ასახავს იმ საქმიანობას, რომელიც გასული 1 წლის განმავლობაში საკრებულოში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე იქნა განხორციელებული და ემსახურებოდა ჩვენი ქალაქის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.



2023 წელი